ხელშეკრულება № 61
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი - NAT200006068)

ქ. თბილისი **22 აპრილი, 2020 წ.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16, ტელეფონი: 2 26-13-35, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-204862078), შემდგომში წოდებული **"შემსყიდველად"**, წარმოდგენილი საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის თეიმურაზ ფერაძის სახით და **შპს „მშვილდოსანი"** (მისამართი: ქ. თბილისი, შევჩენკოს ქუჩა №5; ტელეფონი: 299-56-87; საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE82BG0000000405884000, სს ,,**საქართველოს ბანკი**", კოდი BAGAGE22, ს/ნ-404385401), შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა გაფრინდაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „სამუშაო" – **NAT200006068** ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით, ხელშეკრულების მე-2 მუხლით და ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი,
გორგასლის ქ. №16) წყლის დგარების შეცვლასთან
დაკავშირებული სამუშაოები ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად
(CPV კოდი - 45332200)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **9578 (ცხრა ათას ხუთას სამოცდათვრამეტი) ლარი და 99 თეთრი.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) სამუშაოები დაასრულოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

ბ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის (შემდგომში "ხარჯთაღრიცხვა") მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

გ) სამუშაოების დასრულების შესახებ შემსყიდველის წინაშე დააფიქსიროს ოფიციალური მიმართვის საფუძველზე. სამუშაოების შესრულების ვადის ათვლა ჩერდება (ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი) ექსპერტიზის პერიოდის ვადით. მიმართვასთან ერთად შემსყიდველს წარუდგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელსაც შემსყიდველი წარადგენს აკრედიტირებულ ექსპერტიზის განმახორციელებელ პირთან, დასრულებული სამუშაოების ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. ასევე, წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების შესახებ ფორმა №2, ,,ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯების და გეგმიური განსაზღვრის წესის" დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც ასახავს შესრულებული სამუშაოების მოცულობასა და ღირებულებას.

დ) სამუშაოები შეასრულოს იმგვარად, რომ არ შეფერხდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნორმალური ფუნქციონირება. შესაძლებელია, დღის წესრიგში დადგეს გარკვეული სამუშაოების არასამუშაო საათებსა და დღეებში განხორციელება. აუცილებელია სამშენებლო მოედანზე დაცული იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების წესები;

ე) იზრუნოს სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე, აგრეთვე შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა;

ვ) სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალების, მოწყობილობების და ა.შ. ხარისხი, ტექნიკური აღწერილობა, და სხვა მახასიათებლები სრულად შეუსაბამოს ხარჯთაღრიცხვაში მითითებულ მოთხოვნებს. ასევე, აღნიშნული მასალების, მოწყობილობების და ა.შ. ხარისხი, ტექნიკური აღწერილობა, და სხვა მახასიათებლები თანხმდება შემსყიდველთან და შესაბამისი შეთანხმება შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით, ისევე მის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალების, მოწყობილობების და ა.შ. ხარისხი, ტექნიკური აღწერილობა და სხვა მახასიათებლები ან/და შესრულებული სამუშაო სრულად არ შეესაბამება ხარჯთაღრიცხვის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს წუნდებული მასალა, მოწყობილობა და ა.შ. ან/და სამუშაო;

ზ) შემსყიდველის მიერ, შესრულებულ სამუშაოებში ხარვეზის არსებობის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ხარვეზის აღმოსაფხვრელად და გამოასწოროს ხარვეზი (ხარვეზები) საკუთარი ხარჯებით;

თ) სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, ბიუროს ექსპერტის (ექსპერტთა ჯგუფი) მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში მიმწოდებელს დაერიცხება პირგასამტეხლო (როგორც პირველი, ასევე ყოველი შემდგომი) ექსპერტიზისათვის დახარჯული ვადის ჩათვლით ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლის ,,10.1" პუნქტის შესაბამისად. პირველადი ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსყიდველს, ხოლო უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, ყოველი შემდგომი ექსპერტიზის ხარჯები ეკისრება მიმწოდებელს. ამასთან, პირველადი ექსპერტიზის შედეგად უარყოფითი ან/და სამუშაოების ხარვეზზით შესრულების შესახებ დასკვნის გაცემის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ექსპერტიზა იმავე აკრედიტირებულ საექსპერტო დაწესებულებაში - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, სადაც შემსყიდველმა განახორციელა პირველადი ექსპერტიზა;

ი) სამუშაოების დასრულების შემდგომ, უნდა უზრუნველყოს, სამშენებლო მოედნის დასუფთავება, გაათავისუფლოს მიმდებარე ტერიტორია სამშენებლო ნარჩენებისაგან, მოაგროვოს და გაიტანოს სამშენებლო ნაგავი.

კ) სამშენებლო სამუშაოების შესრულების დროს მიწოდებული ყველა მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს ახალი და არმყოფი ექსპლუატაციაში;

ლ) უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოს შესრულების პროცესში, მიმწოდებლის მიზეზით (მ/შ გაუფრთხილებლობით), შემსყიდველისთვის ან/და მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება საკუთარი ხარჯით;

მ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

ნ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ო) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

4.2 **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

გ) უზრუნველყოს, სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" პირველადი ექსპერტიზის მომსახურების დაკვეთა (არადაჩქარებული მომსახურების დაკვეთა) და ღირებულების ანაზღაურება.

დ) **შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებენ:**

დ.ა) შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ის დადასტურებას, კერძოდ, მოხდება შესრულებული სამუშაოების მოცულობითი შეფასება და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდება ფაქტიურად გაწეული სამუშაოს შესაბამისად;

დ.ბ) შეფასებას, შესრულებული სამუშაოების ფორმა №2 პასუხობს თუ არა „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯების და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მოთხოვნებს;

დ.გ) ინსპექტირების განმახორციელებელმა პირმა/პირებმა უნდა დაადგინო(ნ)ს შეესაბამება თუ არა შესრულებული სამუშაოები და სამუშაოების შესრულების დროს გამოყენებული მასალები, მოწყობილობები და ა.შ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის მონაცემებს.

4.3 **სამუშაოების დასრულების შემდგომ, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებულ ექსპერტიზის განმახორციელებელ პირთან ექსპერტიზისათვის წარდგენილი იქნება სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რაზედაც:**

ა) აკრედიტირებულმა ექსპერტიზის განმახორციელებელმა პირმა უნდა მოახდინოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიწოდებული შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ის დადასტურება, კერძოდ, მოახდინოს შესრულებული სამუშაოების მოცულობითი ექსპერტიზა.

ბ) აკრედიტირებულმა ექსპერტიზის განმახორციელებელმა პირმა უნდა დაადგინოს შესრულებული სამუშაოების ფორმა №2 პასუხობს თუ არა „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯების და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მოთხოვნებს და დაადასტუროს ფორმა №2 აღნიშნული დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით.

გ) აკრედიტირებულმა ექსპერტიზის განმახორციელებელმა პირმა უნდა დაადგინოს შეესაბამება თუ არა შესრულებული სამუშაოები და სამუშაოების შესრულების დროს გამოყენებული მასალები, მოწყობილობები და ა.შ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის მონაცემებს.

5. სამუშაოს ხარისხი და გარანტია

5.1 საგარანტიო ვადა ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში:

5.2 შესრულებული სამუშაოები და სამუშაოების შესრულების დროს გამოყენებული მასალები, მოწყობილობები და ა.შ. უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის მონაცემებს.

5.3 საგარანტიო პერიოდში შესასრულებელი სამუშაოები, საქონლის შეცვლა ან შეკეთება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის, მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს/წარმომადგენლებს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ საგარანტიო პერიოდში, განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის მონაცემებებთან შესაბამისობის, პერიოდული კონტროლი.

6.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებენ: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები - მიხეილ ჩუბინიძე და ვახტანგ პატარქალაშვილი, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

6.3 საგარანტიო პერიოდში, შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს მიმწოდებლის ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის მონაცემებთან შესაბამისობის, კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით შესრულებული სამუშაო ან/და წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში გამოასწოროს წუნი.

6.4 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას მიწოდებული სამუშაოს უხარისხობით გამოწვეული ზარალი.

7. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით, სამუშაოების დასრულების შემდეგ, კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება მოხდება ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის/დასკვნების და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ის და ფორმა №3 (არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე, ამასთან შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ის და ფორმა №3-ის (არსებობის შემთხვევაში) დადასტურებას მოახდენს მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირიც.

7.2 საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ინსპექტირების განმახორციელებელი პირის-პირების დადებითი დასკვნის/დასკვნების, შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ის და აკრედიტირებული ექსპერტიზის განმახორცვიელებელი პირის დადებითი ექსპერტიზის დასკვნის და აკრედიტირებული ექსპერტიზის განმახორციელებელი პირის მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ის საფუძველზე, ამასთან, შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ის და №3-ის (არსებობის შემთხვევაში) დადასტურებას მოახდენს მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირიც.

7.3 სამუშაოს მიღებას აწარმოებს **ზაქარია წითლაური** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველის მიერ, შესრულებული სამუშაოების არაუმეტეს 50%-ის ანაზღაურება მოხდება სამუშაოების დასრულების შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, რომელიც შედგება ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებით დასკვნის/დასკვნების და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ის საფუძველზე, შესაბამისად, ანაზღაურება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (თუ პირი დღგ-ს გადამხდელია) 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ხოლო საბოლოოდ დარჩენილი, ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 50 %-ის ანაზღაურება მოხდება მას შემდგომ, რაც სრულად შესრულებულ სამუშაოებზე მომზადდება აკრედიტირებული ექსპერტიზის განმახორციელებელი პირის დადებითი ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გახდება ინსპექტირების დასკვნის და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველი. იმ შემთხვევაში თუ ექსპერტიზის დასკვნა დადებითი ხასიათისაა და იძლევა დარჩენილი თანხის ანაზღაურების შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში ანაზღაურება განხორციელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (თუ პირი დღგ-ს გადამხდელია) 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ამ მუხლის 10.1 ან/და 10.2 პუნქტებით გათვალისწინებული დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **2 (ორი)** პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების **10%**-ის ოდენობით.

10.5 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი, 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით შეაჩერებს სამშენებლო სამუშაოების წარმოებას, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების **10%**-ის ოდენობით.

10.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან, გარდა 10.4 და 10.5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობითი ფორმით მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით (შემსყიდველისთვის მისაღები ფორმით), ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2020 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული დოკუმენტის სახით.

16.2 ხელშეკრულების ელექტრონულ ასლს იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერილია პასუხისმგებელი პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ ან/და ელექტრონული შტამპით არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო **მისამართი:** ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16, **ტელეფონი:** 2 26-13-35, **საბანკო რეკვიზიტები**: ანგ. №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, **ს/ნ**-204862078	**შპს „მშვილდოსანი“** **მისამართი:** ქ. თბილისი, შევჩენკოს ქუჩა №5; **ტელეფონი: 299-56-87,** **საბანკო რეკვიზიტები**: ანგ. №GE82BG0000000405884000, სს „საქართველოს ბანკი”, კოდი BAGAGE22, **ს/ნ**-404385401
_____	_____

წყლის მომარაგების, ცხელი წყლის და ცხელი წყლის საცირკულაციო დგარების:
ხარჯთაღრიცხვა

№	ხარჯთაღრიცხვის კრებული, ცხრილი	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა		ხელფასი		მასალის ღირებულება		ტრანსპორტი და მექანიზმები		სულ ლარი
				ნორმატიული	სულ	ერთ. ღ-ბა	სულ	ერთ. ღ-ბა	სულ	ერთ. ღ-ბა	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
	46-23-5	**კედლების დანგრევა**	**კუბ.მ.**		**5.00**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	6.800	34.00	6.00	204.00		0.00		0.00	204.00
		მანქანები	ლარი	1.100	5.50		0.00		0.00	3.20	17.60	17.60
8	საბაზრო	**წყლის მილების დემონტაჟი**	**მეტრი**		**232.00**		0.00					0.00
		შრომითი რესურსები	ცალი	1.0000	232.00	4.60	1067.20		0.00		0.00	1067.20
	რ21-87	**ტერიტორიის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისგან ხელით**	**ტონა**		**2.90**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1.8500	5.37	6.00	32.19		0.00		0.00	32.19
	რ1-3გამ	**სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე ხელით**	**კუბ.მ.**		**1.50**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	0.8700	1.31	6.00	7.83		0.00		0.00	7.83
	სრფ2018-IV	**სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება 25 კმ.-ზე**	**ტონა**		**2.90**					12.50	36.25	36.25
	10-10-3გამ	**კედელზე თაბაშირმუყაოს ფილის მონტაჟი**	**კვ.მ.**		**30.00**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	0.7140	21.42	8.30	177.79		0.00		0.00	177.79
		მანქანები	ლარი	0.0183	0.55		0.00		0.00	3.20	1.76	1.76
		თაბაშირმუყაოს ფილა	კვ.მ.	1.0300	30.90		0.00	3.48	107.48		0.00	107.48
		პროფილი UD (სისქით 0.5მმ)	ცალი	0.7000	21.00		0.00	4.66	97.88		0.00	97.88
		პროფილი CD (სისქით 0.5მმ)	მ	2.0000	60.00		0.00	1.70	102.00		0.00	102.00
		პირდაპირი საკიდი	ცალი	0.7000	21.00		0.00	0.40	8.40		0.00	8.40
		გამჭედი დუბელი 6X35	ცალი	1.6000	48.00		0.00	0.10	4.80		0.00	4.80
		თვითმჭრელი 4,2X13	ცალი	1.5000	45.00		0.00	0.03	1.35		0.00	1.35
		თვითმჭრელი 3,5X35	ცალი	14.0000	420.00		0.00	0.03	12.60		0.00	12.60
		ქვაბამბა სისქით 5 სმ	კვ.მ.	1.0000	30.00		0.00	5.57	167.07		0.00	167.07
		სხვა მასალები	ლარი	0.2160	6.48		0.00	3.20	20.74		0.00	20.74
	15-168-7	**კედლის შეღებვა მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით**	**კვ.მ.**		**60.00**							
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0.6580	39.48	8.40	331.51		0.00		0.00	331.51
		სხვადასხვა მექანიზმები	ლარი	0.0100	0.60		0.00		0.00	3.20	1.92	1.92
		მასალები					0.00		0.00		0.00	0.00
		გრუნტი	კგ	0.3500	21.00		0.00	3.00	63.00		0.00	63.00
		წყალემულსია	კგ	0.6300	37.80		0.00	2.50	94.50		0.00	94.50
		შპალერი	კვ.მ.	პროექტი	10.00			2.50	25.00			25.00

		ფითხი	კგ	0.7900	47.40		0.00	0.50	23.70		0.00	23.70
		ზუმფარა	კვ.მ.	0.0090	0.54		0.00	12.00	6.48		0.00	6.48
		სხვა ხარჯები	ლარი	0.0160	0.96		0.00	3.20	3.07		0.00	3.07
		ცივი წყალის მილები										
	16-24-7.	**ცივი წყალსადენის პოლიპროპილენის მილების მოწყ. PN-10 d=63**	**გრძ.მ.**		**20.00**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1.760	35.20	4.00	140.8					140.80
		მანქანები	ლარი	0.0314	1.11		0.0			3.20	3.5	3.54
		მილის ღირებულება დ=63მმ ცივი	გრძ.მ.	0.946	18.92		0.0	12.17	230.3		0.0	230.33
		დანარჩენი ხარჯები	ლარი	0.0652	1.30		0.0	3.20	4.2		0.0	4.17
	16-24-6.	**ცივი წყალსადენის პოლიპროპილენის მილების მოწყ. PN-10 d=50**	**გრძ.მ.**		**20.00**		0.0		0.0		0.0	0.00
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1.760	35.20	4.00	140.8		0.0		0.0	140.80
		მანქანები	ლარი	0.0217	0.43		0.0		0.0	3.20	1.4	1.39
		მილის ღირებულება დ=50მმ	გრძ.მ.	0.937	18.74		0.0	8.70	163.0		0.0	162.96
		დანარჩენი ხარჯები	ლარი	0.0708	1.42		0.0	3.20	4.5		0.0	4.53
	16-24-5.	**ცივი წყალსადენის პოლიპროპილენის მილების მოწყ. PN-10 d=40**	**გრძ.მ.**		**20.00**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1.560	31.20	4.00	124.8					124.80
		მანქანები	ლარი	0.0314	0.98		0.0			3.20	3.1	3.13
		მილის ღირებულება დ=40მმ	გრძ.მ.	0.946	18.92		0.0	6.96	131.6		0.0	131.62
		დანარჩენი ხარჯები	ლარი	0.0652	1.30		0.0	3.20	4.2		0.0	4.17
	16-24-4.	**ცივი წყალსადენის პოლიპროპილენის მილების მოწყ. PN-10 d=32**	**გრძ.მ.**		**20.00**		0.0		0.0		0.0	0.00
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1.560	31.20	4.00	124.8		0.0		0.0	124.80
		მანქანები	ლარი	0.0217	0.43		0.0		0.0	3.20	1.4	1.39
		მილის ღირებულება დ=32მმ	გრძ.მ.	0.937	18.74		0.0	3.39	63.5		0.0	63.53
		დანარჩენი ხარჯები	ლარი	0.0708	1.42		0.0	3.20	4.5		0.0	4.53
		ცხელი წყალის მილები										
		მინაბოჭკოვანი მილების მოწყ. დ=63მმ	**გრძ.მ.**		**20.00**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1.760	35.20	4.00	140.8					140.80
		მანქანები	ლარი	0.0217	0.39					3.20	1.2	1.25
		მილის ღირებულება დ=63მმ	გრძ.მ.	0.939	16.90			12.17	205.8			205.76
		დანარჩენი ხარჯები	ლარი	0.0708	1.42			3.20	4.5			4.53
		მინაბოჭკოვანი მილების მოწყ. დ=50მმ	**გრძ.მ.**		**20.00**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1.760	35.20	4.00	140.8					140.80
		მანქანები	ლარი	0.0217	0.39					3.20	1.2	1.25
		მილის ღირებულება დ=50მმ	გრძ.მ.	0.939	16.90			10.43	176.4			176.37
		დანარჩენი ხარჯები	ლარი	0.0708	1.42			3.20	4.5			4.53
	16-24-4.	**მინაბოჭკოვანი მილების მოწყ. დ=40მმ**	**გრძ.მ.**		**20.000**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1.560	31.20	4.00	124.8					124.80
		მანქანები	ლარი	0.0217	0.39					3.20	1.2	1.25

		მილის ღირებულება დ=40მმ	გრძ.მ.	0.939	16.90			6.96	117.6			117.58
		დანარჩენი ხარჯები	ლარი	0.0708	1.42			3.20	4.5			4.53
	16-24-4.	**მინაბოჭკოვანი მილების მოწყ. დ=32მმ**	**გრძ.მ.**		**56.00**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1.560	87.36	4.00	349.4					349.44
		მანქანები	ლარი	0.0217	1.22					3.20	3.9	3.89
	2,6-2	მილის ღირებულება დ=32მმ	გრძ.მ.	0.939	52.58			4.35	228.6			228.63
		დანარჩენი ხარჯები	ლარი	0.0708	3.96			3.20	12.7			12.69
	16-24-3.	**მინაბოჭკოვანი მილების მოწყ. დ=25მმ**	**გრძ.მ.**		**36.00**							
		შრომითი რესურსები	კაც/სთ	1.560	56.16	4.00	224.6					224.64
		მანქანები	ლარი	0.0172	0.62					3.20	2.0	1.98
	2,6-2	მილის ღირებულება დ=25მმ	გრძ.მ.	0.938	33.77			2.61	88.1			88.09
		დანარჩენი ხარჯები	ლარი	0.0393	1.41			3.20	4.5			4.53
		წყალსადენის მილების ფიტინგები										
		სფერული ვენტილი დ63	ცალი		2		0.00	45.00 ₾	90.00		0.00	90.00
		ვენტილი დ20 (მახავიკით)	ცალი		30		0.00	8.00 ₾	240.00		0.00	240.00
		სფერული ვენტილი დ32	ცალი		2		0.00	15.00 ₾	30.00		0.00	30.00
		სფერული ვენტილი დ25	ცალი		1		0.00	8.00 ₾	8.00		0.00	8.00
		კუთხე მუხლი დ63*90	ცალი		16		0.00	5.22 ₾	83.48		0.00	83.48
		ქურო დ63	ცალი		16		0.00	5.22 ₾	83.48		0.00	83.48
		ქურო დ50	ცალი		10		0.00	3.48 ₾	34.78		0.00	34.78
		ქურო დ40	ცალი		10		0.00	3.48 ₾	34.78		0.00	34.78
		ქურო დ32	ცალი		20		0.00	0.87 ₾	17.39		0.00	17.39
		კუთხე დ32*90	ცალი		26		0.00	0.87 ₾	22.61		0.00	22.61
		ქურო დ25	ცალი		16		0.00	0.43 ₾	6.96		0.00	6.96
		ქურო დ20	ცალი		40		0.00	0.30 ₾	12.00		0.00	12.00
		კუთხე დ20	ცალი		100		0.00	0.30 ₾	30.00		0.00	30.00
		კუთხე დ25	ცალი		16		0.00	0.43 ₾	6.96		0.00	6.96
		სამკაპი 63*20*63	ცალი		10		0.00	5.22 ₾	52.17		0.00	52.17
		სამკაპი 50*20*50	ცალი		12		0.00	3.48 ₾	41.74		0.00	41.74
		სამკაპი 40*20*40	ცალი		12		0.00	3.48 ₾	41.74		0.00	41.74
		სამკაპი 32*20*32	ცალი		12		0.00	1.74 ₾	20.87		0.00	20.87
		გადამყვანი 63*50	ცალი		4		0.00	4.35 ₾	17.39		0.00	17.39
		გადამყვანი 50*40	ცალი		4		0.00	3.48 ₾	13.91		0.00	13.91
		გადამყვანი 32*25	ცალი		4		0.00	0.87 ₾	3.48		0.00	3.48
		გადამყვანი 40*32	ცალი		4		0.00	1.74 ₾	6.96		0.00	6.96
		რკინარეზინის სამაგრი დ63	ცალი		40		0.00	2.61 ₾	104.35		0.00	104.35
		რკინარეზინის სამაგრი დ50	ცალი		10		0.00	2.61 ₾	26.09		0.00	26.09
		რკინარეზინის სამაგრი დ40	ცალი		10		0.00	2.17 ₾	21.74		0.00	21.74
		რკინარეზინის სამაგრი დ32	ცალი		30		0.00	2.17 ₾	65.22		0.00	65.22
		რკინარეზინის სამაგრი დ25	ცალი		10		0.00	1.74 ₾	17.39		0.00	17.39
		ჯამი					**3332.20**		**3324.62**		**76.60**	**6733.42**
		სატრანსპორტო ხარჯები მასალაზე	**3%**									**99.74**

		ჯამი										6833.15
		ზედნადები ხარჯები	10%									683.32
		ჯამი										7516.47
		გეგმიური მოგება	8%									601.32
		ჯამი										8117.8
		დღგ	18%									1461.20
		ჯამი										9578.99